საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 32 18 დეკემბერი 2020 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათისა (17.12.2020 წ. №41-41203521) და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის, „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №17 დადგენილების 117-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტი დანართი №1-ის შესაბამისად.
2. გამოეყოს სენაკის მუნიციპალიტის საკრებულოს თანამდებობის პირებს, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარატის უფროსს საწვავის ლიმიტი დანართი N 2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ხარჯებისთვის საბიუჯეტო სახსრების გათვალისწინება.
4. ამ განკარგულების მეორე პუნქტით დამტკიცებული დანართით განსაზღვრული საწვავის გახარჯვისას სამსახურეობრივი ფუნქციების განსახორციელებლად გამოსაყენებელი ავტომანქანების ნუსხა შესაბამისი თანამდებობის პირის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მტკიცდება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის №5 განკარგულება ,,საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურეობით სარგებლობის ლიმიტის განსაზღვრისა და საწვავის გამოყოფის თაობაზე“.
6. გამოცემული განკარგულების ასლი გადაეგზავნოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
7. ამ განკარგულებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2-ის მოქმედება გავრცელდეს 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი

დანართი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტი

№	თანამდებობის დასახელება	ფიჭური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტი (ღირებულება ლარებში) (ყოველთვიურად)
1	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	85(ოთხმოცდა ხუთი) (85X1=85)
2	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	50 (ორმოცდაათი) (50X1=50)
3	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე; სენაკის მუნიციპალიტეტის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-საკრებულოს აპარატის უფროსი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანაშემწე	30 (ოცდაათი) (30X18 =540)
4	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის : მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალიტი საინფორმაციო საკითხებში, აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში; აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალიტი იურიდიულ საკითხებში,აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალიტი იურიდიულ საკითხებში აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალიტი მატერიალურ -ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში, აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანის რესურსების მართვის საკითხებში; აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საარქივო დოკუმენტებისა და საქმისწარმოების საკითხებში; აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალიტი საქმისწარმოებისა და საოქმო უზრუნველყოფის საკითხებში, აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალიტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში; აპარატის უფროსი სპეციალიტი საქმისწარმოების საკითხებში; აპარატის პირველი კატეგორიის უმცროსი საპეციალისტი, საკრებულოს მდივან-რეფერენტი; საკრებულოს მძღოლი, აპარატის სპეციალისტი.	25 (ოცი) (25X14=350)
5	საკრებულოს დამლაგებელი.	20X1=20 (ოცი)

დანართი №2

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- საკრებულოს აპარატის უფროსის საწვავის ლიმიტი

№	თანამდებობის დასახელება	საწვავის ლიმიტი (ლიტრებში) (ყოველთვიურად)	საწვავის ტიპი
1	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	500 (ხუთასი)	დიზელი
2	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	300 (სამასი)	ბენზინი
3	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	120 (ას ოცი) (120 X5= 600)	ბენზინი
4	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	120 (ას ოცი) (120 X5=600)	ბენზინი
4	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარი მოადგილე	100 (ასი) (100X5=500) (100X1= 100)	ბენზინი დიზელი
5	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-საკრებულოს აპარატის უფროსი	200(ორასი) (200X1=200)	ბენზინი
6	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალიტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	100 (ასი) (1X100=100)	ბენზინი